# „გაიგეთ ციფრულ გარემოში თქვენი უფლებების შესახებ“

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების პატივისცემის, დაცვის და განხორციელების თაობაზე

**ბავშვებისა და 18 წლამდე მოზარდებისთვის განკუთვნილი ვერსია**

www.coe.int/children

ვაშენოთ ევროპა
ბავშვებისთვის
ბავშვებთან ერთად

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE



# ვინ შეიმუშავა ეს სახელმძღვანელო და რატომ?

ევროპის საბჭოში ევროპის **46** ქვეყანაა გაერთიანებული, რომლებიც ერთად მუშაობენ მშვიდობისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით.

იგი ევროპის ქვეყნებს ეხმარება ბავშვთა უფლებების - **შენი უფლებების დაცვაში!**

რაც, ასევე, მოიცავს ბავშვთა უფლებებს **ციფრულ გარემოში**.

**ევროპის საბჭოს სურს, რომ უფროსებს და ბავშვებს ესმოდეთ, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ბავშვებმა თავიანთი უფლებებით ისარგებლონ ციფრულ გარემოში.**

**ბავშვთა უფლებები** არის დაპირებები, რომლებიც მთავრობამ ბავშვებს მისცა, რათა მათ კარგი ცხოვრება ჰქონდეთ.

**ციფრული გარემო** ნიშნავს ყველა იმ გზას, რომლითაც ბავშვები იყენებენ კომპიუტერებსა და ინტერნეტს: სმარტფონებს და პლანშეტებს, კომპიუტერულ თამაშებს და სოციალურ მედიას.

# რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რაც უნდა გაითვალისწინოთ ბავშვთა უფლებების დასაცავად?

**ქვემოთ მოცემული 5 საკითხი ყოველთვის მნიშვნელოვანია და მას პატივი უნდა სცეს ყველამ, ვინც შენი ან სხვა ბავშვების ნაცვლად იღებს გადაწყვეტილებას. ესენია:**

1. **ბავშვის საუკეთესო ინტერესები*** – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ გადაწყვეტილების მიღებისას ან რაიმე ქმედების განხორციელებისას.
2. **ბავშვები ვითარდებიან დაბადებიდან 18 წლის ასაკამდე.** თინეიჯერებს და მცირეწლოვან ბავშვებს სხვადასხვა შესაძლებლობები და საჭიროებები აქვთ.
3. **ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობა საფუძვლიანი მიზეზის გარეშე დაუშვებელია.**
4. **ბავშვების მოსაზრებები მოსმენილი და გათვალისწინებული უნდა იყოს.**
5. **მთავრობებმა*** ხელი უნდა შეუწყონ, მხარი დაუჭირონ და ითანამშრომლონ სხვებთან (მაგალითად, ბიზნესებთან, მასწავლებლებთან, მშობლებსა და ბავშვებთან) ბავშვთა უფლებების დასაცავად.

***„ბავშვის საუკეთესო ინტერესი“** ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის კეთილდღეობა პირველ ადგილას უნდა იდგეს.

***იგულისხმება ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი მთავრობები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები.**

# რა უფლებები უნდა იყოს დაცული და რატომ?

## ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს ციფრული გარემოს გამოყენება.

ციფრული გარემო უნდა იყოს:

- დაბალ ფასად ხელმისაწვდომი (და თუ ეს შესაძლებელია, უფასო საზოგადოებრივ ადგილებში).
- ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, სოფლად მცხოვრები ბავშვებისა და მიგრანტებისთვის.

## ინფორმაციის მიღების უფლება

- მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებისთვის სასარგებლო ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომი იყოს.
- ბავშვებმა უნდა ისწავლონ ონლაინ გარემოში სხვების პატივისცემა (მაგალითად, არ უნდა შეუწყონ ხელი ბულინგს ან ძალადობას)
- ბიზნესებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ინფორმაციის მიწოდება სარგებლობის პირობების შესახებ, რომელიც ბავშვებისათვის ადვილი მოსაძიებელი და გასაგები იქნება.

## გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება

- სკოლებმა, მთავრობებმა, ბიზნესმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა ჰკითხონ ბავშვებს, თუ რა მოსაზრებები აქვთ მათ და სერიოზულად მიიღონ ისინი.

## ონლაინ გარემოში ჯგუფების შექმნისა და მათთან მიერთების უფლება

- ბავშვებს არ უნდა უთვალთვალოს მთავრობამ ან სხვებმა, როდესაც ისინი ციფრულ გარემოში არიან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია კანონით.

## თამაშის უფლება

- მთავრობამ და ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვებს, რათა მათ ითამაშონ, იყვნენ კრეატიულები, გადაჭრან პრობლემები და სხვა ბავშვებთან ერთად იმუშაონ.

## პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება.

- ყველამ უნდა იცოდეს ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესახებ.
- ბავშვებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ დაიცვან თავისი პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა ონლაინ გარემოში.
- ბავშვის პერსონალური მონაცემები მხოლოდ ბავშვების ნებართვით უნდა იქნას გამოყენებული (ან თუ ბავშვი ძალიან პატარაა, მისი მშობლების ნებართვით) და მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ეს კანონიერია.
- ბავშვებს უნდა შეეძლოთ იმის გაგება, თუ როგორ იქნება გამოყენებული მათი პერსონალური მონაცემები და როგორ შეიძლება ამ ინფორმაციის წაშლა, ან შეცდომების გასწორება.
- სათამაშოებში ან ტანსაცმელში არ უნდა იყოს გამოყენებული სმარტ მოწყობილობები ბავშვების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად.

**პერსონალური მონაცემებია** თქვენი სახელი, ასაკი, სად ცხოვრობთ და სად იმყოფებით.

## განათლების უფლება

- სკოლებს უნდა ჰქონდეთ ციფრული ტექნოლოგია, რომელიც ბავშვებს ესაჭიროებათ.
- ბავშვებმა უნდა შეიძინონ საჭირო უნარები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გოგონებისთვის, ღარიბი ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.

## შესაძლო ზიანისგან დაცვის უფლება

- არსებობს ასაკობრივი ზღვრების კონტროლის მექანიზმები.
- ბავშვებს და მშობლებს ანათლებენ ბულინგის და მავნე შინაარსისა და უცნობის მხრიდან საფრთხის შემთხვევაში მოქმედების გზების შესახებ.
- ბავშვებს შეუძლიათ ადვილად აცნობონ მავნე შინაარსის ან სახიფათო ქცევის შესახებ.
- ინტერნეტით ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის გავრცელების შეჩერება.

**ზიანში იგულისხმება:** ბულინგი; ბავშვების წაქეზება დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისკენ; სექსიზმის, რასიზმის, სუიციდის ან თვითდაზიანების წახალისება; აზარტულ თამაშებში ჩართვა; სექსუალური ძალადობა; კომპიუტერების, პლანშეტების ან სმარტფონების გამოყენება ისეთი მოცულობით, რაც ზიანს აყენებს ჯანმრთელობას, ან ძილის დარღვევებს იწვევს.

# რა უნდა უზრუნველყონ მთავრობებმა და სხვებმა, რათა ბავშვებმა ციფრულ გარემოში თავიანთი უფლებებით სარგებლობა შეძლონ?

- **კანონის და პოლიტიკის შემუშავება,** რომელიც იცავს ბავშვთა უფლებებს ციფრულ გარემოში.
- უზრუნველყავით, რომ **ყველამ ერთობლივად იმუშაოს.**
- უზრუნველყავით ყველა იმ პირის **ინფორმირება და წახალისება**, ვინც ბავშვებთან მუშაობს, რათა მათ უკეთ გაიგონ და ხელი შეუწყონ, რომ ბავშვებს ციფრულ გარემოში თავიანთი უფლებებით სარგებლობა შეეძლოთ.
- დარწმუნდით, რომ ყველა ბავშვს აქვს წვდომა ციფრულ გარემოზე.
- ჩაატარეთ **კვლევები** იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ბავშვებმა სარგებელი მიიღონ ციფრული გარემოსგან, და იმავდროულად, დაცული იყვნენ საფრთხეებისგან, რომლებიც ამ გარემოში არსებობს.
- **საჩივრები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები*** მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვებს და მშობლებს მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეეძლოთ საჩივრის წარდგენა ისეთი გზებით, რომლებიც ადვილად გასაგები და გამოსაყენებელია.



**სამართლებრივი დაცვის საშუალებები მოიცავს შემდეგს:**
ბოდიშის მოხდას, საზიანო შინაარსის ამოღებას, საჩივრის წარდგენას, არასწორი ინფორმაციის შესწორებას.

ევროპის საბჭო, მაისი, 2020

გარეკანი და ილუსტრაცია: ენდი მეთიუ, "The Port Creative", ედინბურგი, დიდი ბრიტანეთი

ყველა მოთხოვნა ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუქციის ან თარგმანის შესახებ უნდა წარედგინოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing @coe.int).

აღნიშნული გამოცემა მოიცავს წევრი ქვეყნებისათვის მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)7 რეკომენდაციის ბავშვზე მორგებულ ვერსიას ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებების პატივისცემის, დაცვისა და განხორციელების სახელმძღვანელოს შესახებ.

აღნიშნული გამოცემა თარგმნილია ევროპის საბჭოს პროექტის "დავასრულოთ ბავშვთა ონლაინ სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა ევროპაში" მიერ (EndOCSEA@Europe) ძალადობასთან ბრძოლის ფონდის (End Violence Fund) ფინანსური მხარდაჭერით.

**აღმოაჩინეთ სახელმძღვანელო პრინციპები და იცოდეთ ციფრულ გარემოში თქვენი უფლებების შესახებ.**

იმისათვის, რომ გაიგოთ მეტი ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით ევროპის საბჭოს საქმიანობის შესახებ, იხილეთ:
**www.coe.int/children**

გვსურს მადლობა გადავუხადოთ პროფესორ ლაურა ლანდის და დოქტორ მიშელ ტემპლტონს ბელფასტის სამეფო უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი), ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპების ბავშვზე მორგებული ვერსიის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის, ასევე მადლობას ვუხდით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს და მიას, ლიზას, სანდროსა და მარიამს ქართული ვერსიის მომზადებისათვის.

QUEEN'S UNIVERSITY BELFAST

CENTRE FOR CHILDREN'S RIGHTS

KAT

ევროპის საბჭო ევროპული ორგანიზაციაა, რომელშიც 46 ქვეყანაა გაწევრიანებული და დაფუძნებულია სტრასბურგში, საფრანგეთი. ორგანიზაცია შეიქმნა იმისათვის, რომ ყველა აღნიშნულ ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის უფლებების, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვა. ამ მიზნით ნებისმიერი ტიპის ძალადობის აღკვეთა ხდება და ბავშვებს აქვთ მხარდაჭერა, რათა სრულად განავითარონ თავიანთი პოტენციალი.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE